

შპს „შვიდი“


2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2174242	2184048	1269375	
სავაჭრო მოთხოვნები	4380154	3304191	2492839	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	292617	260787	85074	
მარაგები	4143432	3146173	3263971	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	4143432	3146173	3263971	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	106346	43712	38452	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	13673	13590	12759	
ძირითადი საშუალებები	1908171	1892299	1073487	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	178303	162722	148500	
სულ აქტივები	13196938	11007522	8384457	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			27299	
სავაჭრო ვალდებულებები	4249905	3255619	2835784	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11047			3.3
საგადასახადო ვალდებულებები	225204	112844	188937	3.4
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	122802			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3154830	2929748	1811894	3.5
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1523993	1492737	1297519	3.5
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	78000	134632	70715	
სულ ვალდებულებები	9365781	7925580	6232148	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	500000	500000	500000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2916732	2226857	1454696	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები	414425	355085	197613	
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი	414425	355085	197613	
სულ საკუთარი კაპიტალი	3831157	3081942	2152309	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13196938	11007522	8384457	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „შვიდი“ (კონსოლიდირებული)


კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები			
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	20761970	18376551	3.6
- მომსახურების გაწევიდან	20683497	18303920	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	78473	72631	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
- საწყისი მარაგები	-16249524	-14685539	3.6
- მარაგების შესყიდვა	-3122157	-3263971	
- გადამუშავების დანახარჯები	-17336852	-14567741	
- საბოლოო მარაგები	4209485	3146173	
საერთო მოგება	4512447	3691012	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		113495	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1840239	-1754672	
ცვეთა და ამორტიზაცია	-110466	-103489	3.7
საპროცენტო შემოსავალი	19013	21168	
საპროცენტო ხარჯი	-316990	-6707	3.7
იჯარის ხარჯი	-155604	-115619	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-566013	-472103	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-2970299	-2317927	
საოპერაციო მოგება	1542148	1373085	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			3.8
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-359532		
მიღებული დივიდენდები			3.8
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	55337	-443452	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1237953	929633	
მოგების გადასახადის ხარჯი	-66622		3.8
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1171331	929633	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			3.8
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			3.8
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	1171331	929633	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1171331	929633	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3081942	2152309	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			3.8
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-405939		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-16177		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3831157	3081942	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „შვიდი“ (კონსოლიდირებული)


კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	740879	-66892
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-127633	-4133
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-620031	988313
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-6785	917288
სავალუტო კურსის ეფექტი	-3021	-2615
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2184048	1269375
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	2174242	2184048

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2020 წ.

დირექტორი _____



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი“ ((შემდგომში – *კომპანია* ან *ჯგუფი*)) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1998 წლის 27 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1688 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211371638, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12. ჯგუფში შემავალი ორივე კომპანია (სათავო და შვილობილი) დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

მალხაზ ტვილდიანი - 20%; სერგო ჩხაიძე - 5%; ნინო ორჯონიკიძე - 25%; ირაკლი ვაჩნაძე - 25%; ირაკლი მასხუღია - 25%.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო - შპს „შვიდი ვაინ“ (ს/კ 405130889), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 85%-ს. დარჩენილი 15% ეკუთვნის მიხეილ მესხს.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

მეკავშირე საწარმოები ჯგუფს არ ჰყავს.

1.5. 2019 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 44 კაცს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2019 წელს შეადგენდა:

1 USD=2.7789 ლარი; 1 EUR=3.1226 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები 2019 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი (დამხმარე მასალები და ინვენტარი კვების მრეწველობისათვის) – 4 137 013 ლარი;

სარეკლამო მასალები - 3 363 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები - 3 056 ლარი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2019 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2019 წელს, გაიყიდა 4 ძირითადი საშუალება (ავტომანქანები), რომელთა ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება იყო 75 127 ლარი, ხოლო დარიცხული ცვეთა შეადგენდა 47 989 ლარს.

2019 წელს შეძენილ იქნა 150 857 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 2 607 197 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 2 531 467 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 699 026 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 639 168 ლარი.

შესაბამისად, სულ 2019 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 107 847 ლარი.

3.3. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2019 წლის ბოლოს, ჯგუფის ვალდებულება დაქირავებულ თანამშრომელთა წინაშე შეადგენდა 11047 ლარს, რომლიდანაც 5500 ლარი იყო მათი სავალდებულო საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულება საპენსიო სააგენტოში, ხოლო 5547 ლარი - დავალიანება ანგარიშვალდებული პირების მიმართ საქვეანგარიშო თანხების გახარჯვიდან.

3.4. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2019 წ. მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა მიმდინარე საგადასახადო დავალიანება 225 204 ლარი, რომელიც გადასახადების სახეობების მიხედვით შედგებოდა შემდეგი თანხებისაგან:

საბაჟო (იმპორტის) დღგ - 47 618 ლარი;

მოგების გადასახადი - 51 112 ლარი;

საშემოსავლო გადასახადი - 63 453 ლარი;

დღგ - 44 769 ლარი;

ქონების გადასახადი - 4 487 ლარი;

გადავადებული დარიცხული მოგების გადასახადი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც კომპანია გადაუხდის დარიცხულ დივიდენდს პარტნიორ ფიზიკურ პირს მიხეილ მესხს - 13 765 ლარი.

გარდა აღნიშნულისა, ჯგუფს 2019 წლის ბოლოს ჰქონდა საგადასახადო ზედმეტობები და ჩასათვლელი საგადასახადო აქტივები 101 420 ლარის ოდენობით, რომელიც 2019 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მუხლში „სხვა მიმდინარე აქტივები“. ამ მუხლში ასევე ასახულია ზედმეტობა საპენსიო სააგენტოს მიმართ გადახდებში 63 ლარი.

3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2019 წ., ასევე 31.12.2018 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „თიბისი ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს, ჯგუფის ნეტო-ამონაგები იყო 20 761 970 ლარი, რომელიც შედგებოდა:

კვების მრეწველობისათვის და მეღვინეობა-მევენახეობისათვის განკუთვნილი საქონლის (მასალებისა და ინვენტარის) გაყიდვიდან მიღებული:

ექსპორტი - 366 127 ლარი;

საქართველოში - 20 317 370 ლარი;

იჯარის მომსახურებიდან მიღებული - 78 473 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2019 წელს მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ხელფასი - 1 821 480 ლარი;

სავალდებულო საპენსიო შესატანი (2%) - 18 759 ლარი;

ძირითადი საშუალებების ცვეთა - 106 016 ლარი;

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია - 4 450 ლარი;

ფართის იჯარა - 142 004 ლარი;

ა/მ იჯარა - 13 600 ლარი;

სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები - 18 317 ლარი;

ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება - 47 091 ლარი;

საკომუნიკაციო ხარჯები - 11 236 ლარი;

საკონსულტაციო ხარჯები - 11 385 ლარი;

დაზღვევა - 21 496 ლარი;

მივლინების ხარჯები - 39 268 ლარი;

საბანკო ხარჯები - 75 725 ლარი;

სხვა საერთო-ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები - 341 495 ლარი.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2019 წელს ჯგუფის პარტნიორებმა გადაწყვეტილება გასულ წლებში მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ, მათ შორის, სათავო კომპანიის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგება (რაც დარჩენილი იყო გაუნაწილებლად) - 42135 ლარი განაწილდა სრულად. სულ 2019 წლის განმავლობაში სათავო კომპანიამ გაანაწილა მოგება (გამოცხადებულია დივიდენდები) 285921 ლარის ოდენობით, რომლიდანაც მოგების გადასახადის ხარჯმა 50457 ლარი შეადგინა.

შვილობილ კომპანიაში 2019 წლის განმავლობაში განაწილებულია მოგება (გამოცხადებულია დივიდენდები) 800121 ლარის ოდენობით (მათ შორის, 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგება - 229564 ლარი განაწილდა სრულად). შესაბამისად, 2019

წელს შვილობილ კომპანიას წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 16165 ლარი შეადგინა.

შედეგად, 2019 წელს ჯგუფს წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი სულ 66622 ლარის ოდენობით.

3.9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს ფინანსური სირთულეები არ შექმნია.

2020 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.